ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშა

832
1965

NOTRE DRAPEAU"

ქაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 42

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ერის დროშა.
მიხეილ წერეთელი.
ს. ასათიანი—რუბენ ყიფიანი.
მეგოზარი—მეგობრის ხსოვნას.
ვალიკო ჩუბინიძე—ძვირფასი ოჯახი.
ბ. ს.—მცირე შენიშვნები დიდ საკითხებზე.
ვანო ნანუაშვილი—ლენინი და ეროვნებათა საკითხი.
მ. ბერიშვილი—პრ. დ. მ. ლანგი და დაქირავებული კრიტიკოსები.
ა. ბადრიძე—საბჭოთა მწერლობის—ძველი და ახალი.
ბაზველი—ხმა უღირსი და სხვ.

ბარიზი. მ ა ი ს ი. Paris.
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერის დროშა!

ქართველი ერის თავისუფლების დროშა აღიმართა 26 მაისს.

დროშა ეროვნული თავისუფლების, სუვერენობის, საკუთარ სახელმწიფოებრივ სხეულის გამთელების და აღმავლობის.

26 მაისი მოევლინა ქართველ ერს, როგორც დღე გამარჯვების, საუკუნოებრივ ბორკილებიდან თავდახსნილ ერისთვის თავისუფალი ცხოვრების ბრწყინვალე სხივი. 26 მაისმა დაბადა ახალი საქართველო, ახალი ხალხი, ძველი და თანამედროვე თვისებების გამაერთიანებელი და ახალი ერის შემქნელი.

ამ დღის მოგონება იქ სამშობლოში, იდუმალებით გულჩახვევით და მოკრძალებით—აქ უცხოეთში ქართველობისგან გაშლილად და ღიად არის მოგონება იმ ბრწყინვალე ხანის, როცა ერი გალაღებული, აღმშენებლობაში ჩაბმული, დიდის იმედით შეჰყურებდა მომავალს. გაჭივრება, სიღარიბე მძიმე პირობებში დიდი ომიდან დატოვებული, მას არ აშინებდა,—რადგან უკვე დადებითი ნაყოფი—თავდადებულ შრომისა აშკარად სჩანდა. რაღაც სამი წლის განმავლობაში მან შესძლო სახელმწიფო აპარატის დამაგრება და განმტკიცება; და ეს მაშინ, როცა რუსეთის ტერიტორიაზე ლენინი სპობდა თებერვლის დემოკრატიულ ჩანასახებს,—საქართველო კი ოაზისი თავისუფლების, სიმშვიდის,—იწვევდა მთელი კაცობრიობის განცვიფრებას. ეს იყო ძალა სიმართლისა და სამართლის:

«ქმნა მართლისა,—სიმართლისა
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად»...

დიახ! ქართველ ერმა ამ რწმენით სძლია—დაუძლეველს, დააფუძნა და აყვავების გზაზე დააყენა—ერის სოციალური და ეკონომიური ცხოვრება.

რუსეთმა ერთჯერ მფარველად და მოკავშირეთ მოწვეულმა და მეორეჯერ მისგანვე ცნობილმა გადასჭრა გზა აღმავალი.

შემუსრა ეროვნულ-პოლიტიკური ძალების წინსვლა.

დაეცა ქართველი ერის დროშა, დაიკეცა იგი დროებით და ადგილი ნახა თითეულ ქართველის სულსა და გულში.—რათა სასოებით, სიწმინდით ატაროს ვით სიმბოლო ბრძო

30274

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის და მომავალ გამარჯვების. მაშასადამე ქართველი ერის დროშა, 26 მაისი დღეს ტყვეობაშია და ცხრა კლიტულში ჩაჭედილი, ზეიმი, მხიარულებაც უფრო ფიცია თავდადების და ერთგულების ბრძოლის გასაგრძელებლათ, რწმენის მიუცილებელი ელემენტია პერსპექტივა; შეგნება საკუთარი უფლების უზენაესობის სასწაულს--რაც ბადებს თვით მომავლის იმედს...

დრონი იცვლებიან, განმათავისუფლებელ ბრძოლის შინაარსი, ტაქტიკა, პოლიტიკური სტრატეგია იცვლება მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური ვითარების მიხედვით. ის რაც გუშინ მისაღები იყო—შეიძლება ხვალ უკუსაგდები იქნეს, ხოლო სურვილი ეროვნულ თავისუფლების აღდგენის რჩება ურყევი...

რას ვეყრდნობით? რა პერსპექტივები გვეხატება?

თუ წარსულში ქართველობას აღმოაჩნდა უხილავი ძალით შენახული, უკვდავი ეროვნული სული და განსაცვიფრებელი განძეულობა ... დღესაც იგი არა ნაკლებათ, სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით უმკლავდება და ცდილობს შეინახოს ეროვნული ცხოველმყოფელი სიმტკიცით, თავისი ეროვნულ-კულტურული მეობა, რათა შესაფერ დროს, როგორც ახლო წარსულში მოუხდა, დადგეს საკუთარ ფეხზე...

საერთაშორისო ურთიერთობა ჩამოყალიბდა ქართველი ერის სასარგებლოთ... რუსეთი, როგორც ერთად-ერთი სახელმწიფო,—ძალით და ძალადობით შეკოწიწებული, შინაურ და საგარეო პოლიტიკურ მოვლენათა დაწოლით სდგას დანგრევის და დაშლის წინაშე.—რასაც მოითხოვს თვით რუსის ერის ინტერესები...

ამ ისტორიულ აუცილებლობის დასასრული და ლოგიკური შედეგი,—რამოდენიმეთ დამოკიდებულია დაჩაგრულ ერთა შეკავშირება-გამკლავებაზე, რომელთა აშვებულ ტალღებს კრემლის ბატონობის დამხობა უნდა მოჰყვეს.

ცენტრალურ ევროპის ზოგიერთ ერთა—გაბედული ნაბიჯი—მოსკოვის მიმართ, პირველი სხივია, რომლის სითბო ადრე თუ გვიან შეანათებს სხვა—მოსკოვზე დამოკიდებულ ერთა ცხოვრებაში.

26 მაისი ქართველი ერის მანათობელი ვარსკვლავია,—ერის დროშა,--რომელიც წინ მიგვიძღვის და მიგვიყვანს—გამარჯვებამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ წერეთელი.

ქ. მიუნხენში, ამა წლის 2 მარტს, გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი მიხეილ წერეთელი. ის უკვე ღრმად მოხუცებული იყო, 86 წლისა, ასეთ ასაკში ყოველთვის მოსალოდნელია განშორება ამ ქვეყნიდან, ხოლო მაინც ძნელია, რომ ადამიანს სამუდამოთ შორდები. განსვენებულს პირადი ცხოვრება, ვიწრო გაგებით ამისა, არ ჰქონია, მან მთელი თავისი სიცოცხლე ერისა და ქვეყნის სამსახურს მოანდომა. ჩვენ აქ არ შეუდგებით აღწერას განსვენებულის დამსახურების, როგორც მეცნიერის და პოლიტიკურ მოღვაწის, არამედ გვსურს დიდი ქართველის პიროვნება ზოგადათ დავახასიათოთ.

როდესაც მან ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა და ცხოვრების ასპარეზე გამოვიდა ის უკვე დაკაცებული იყო თითქმის 26 წლისა. ეს იყო ჩვენი საუკუნის მიჯნაზე, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში გადატეხის ხანა. ის იყო, რომ «მესამე დასი» წარმოიშვა და რევოლიუციონური პროგრამით წარსდგა. დაარსდა სოციალდემოკრატიული პარტია. აუცილებელი იყო, რომ ის უპირველეს ყოვლისა მებრძოლი სულით აღზნებულ ახალ თაობას, ახალგაზრდობას მოხიბლავდა და გაიტაცებდა. ასეც მოხდა, მიხეილ წერეთელი მარქსისტულ მოძრაობას მიემხრო, ხოლო მათ ეროვნულ პოლიტიკურ და სოციალურ მჩაგვრელად ესახებოდათ რუსეთის ცარისტული რეჟიმი და მათი ბრძოლა ამის წინააღმდეგ იყო მიმართული...

...წრე ახალგაზდობათა, რომელსაც მიხეილი ეკუთვნოდა მეტათ პატრიოტულად იყო განწყობილი.... მათ იტაცებდა მარქსიზმის საერთაშორისო კონცეპცია, ბრძოლა საერთაშორისო მჩაგვრელთა წინააღმდეგ—მსოფლიო მასშტაბით. თუმცა არც ქართულ ზედაფენას ინდობდნენ და თვით მიხ. წერეთელი არა ერთხელ გალაშქრებულა ხოლმე წარჩინებულთა წინააღმდეგ.

მასუკან ის შფოთვის და ძიებათა პერიოდშია.

კიევში გამოდის სტუდენტთა დემონსტრაციაზე და ცეცხლს აფრქვევს. დატუსაღებას რომ თავი დაახწიოს საზღვარ გარეთ მიდის. აქ არ მშვიდდება და 1901 წელს პარიზში მონაწილეობას იღებს სანდრო გაბუნიასთან ერთად დემონსტრაციაში; დაატუსაღეს და ციხე მიუსაჯეს (მათ იცავდნენ არი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიდ ბრიანი და შემდეგ სენატორი დე-მონზი). და შემდეგ გადაასახლეს საფრანგეთიდან. ის მიდის ინგლისში და უახლოვდება ვარლამ ჩერქეზიშვილს. იმ ხანათ მთელი მსოფლიო დიდ დაძლიერ იმპერიებს ეპყრათ, რომლებშიაც იყვნენ მრავალი დაპყრობილი ერები, ყოველგვარ უფლება აყრილნი. ეს იწვევს მასში, დაჩაგრულ ერის შვილში, რადიკალურ სიძულვილს ყოველი ფორმის სახელმწიფოს და ხელისუფლების წინააღმდეგ და იდეალისტურად განწყობილი ახალგაზრდა და რევოლიუციონურად აღტკინებული. უარყოფს ყოველგვარ ხელისუფლებას, იძულებით კავშირს ადამიანთა და აღიარებს ყოველი ადამიანის უფლებას, იყოს თავისუფალი და არავითარ ნორმებს არ მორჩილებდეს. თავის იდეალისტურ წარმოდგენაში, ასეთ პირობებში ქართველი ხალხიც და ადამიანიც, თავისუფალი ესახება. ანარქიზმის იდეალურ თეორიას მალე თავს ახწევს და საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელია.

1905 წ. ის მიეშურება საქართველოში და ღებულობს მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში. უახლოვდება სოციალდემოკრატიულ პარტიის მეთაურთ. ამ დროს მ. წერეთელი სახელგანთქმული პუბლიცისტია და ორატორი. მისი ცნობილი სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე—ისტორიული მიმოხილვაა ქართველი ერის რაობის და დასაბუთება მისი ეროვნულ უფლებათა.

1909 წელს გამოდის მისი დიდი შრომა «ერი და კაცობრიობა». 1912 წელს იაკობ გოგებაშვილის დახმარებით, «სეპარატისტთა წრემ», როგორც უწოდებდნენ მას, და რომელსაც ეკუთვნოდნენ—თვით მიხეილი, პეტრე სურგულაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და სხ. გამოსცეს გაზ. «ერი». სხვათა შორის ამ გაზეთის ტეხნიკური რედაქტორი იყო მგოსანი ი. გრიშაშვილი. მ. წერეთელი ამ დროს უმთავრესათ ეწევა მეცნიერულ შრომას და სულ მოკლე ხანში აქვეყნებს ქართულ და უცხოურ ენაზე თავის შრომებს, ჯერ სუმერულ ქართულ ენათა ნათესაობის შესახებ. მისი შრომები ქვეყნდებოდა საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს განსვენებული წევრია ქართული კომიტეტის გერმანიაში. ის წყალქვეშა ნავით ორჯერ ჩამოდის საქართველოში და აწარმოებს მოლაპარაკებას პოლიტიკურ პარტიების მეთაურებთან, განსაკუთრებით კი ნოე ჟორდანიასთან.

ამ კომიტეტის მოღვაწეობას მეტად პოზიტიური შედეგები მოქყვა შემდეგში ჩვენი ქვეყნისათვის. უკვე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში, გერმანიის მოთხოვნილებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ცნობას.

1918 წ. მ. წერეთელი იყო საქართველოს დიპლომატიური დელეგაციის წევრი ბერლინში, შემდეგ ელჩი სკანდინავიის ქვეყნებისთვის სტოკგოლმში და 1920 წ. დაბრუნდა საქართველოში სადაც იგი მიიწვიეს პროფესორად ჩვენს უნივერსიტეტში. საქართველოს დაპყრობის შემდეგ მან მთავრობასთან ერთად დასტოვა საქართველო.

მ. წერეთელი მართალია არ იზიარებდა სოციალისტურ მოძღვრებას, მაგრამ დადებით აფასებდა მის მოღვაწეობას, სთვლიდა მას ეროვნულ, სახალხო პარტიათ და მის მეთაურებთან, აგრეთვე მისგან გამოსულ ეროვნულ მთავრობასთან მუდამ იყო ლოიალურ და საქმიან დამოკიდებულებაში.... ამის დასახასიათებლად ბ-ნი ნ. ნაკაშიძე შემდეგს გადმოგვცემს:

«ერთხელ დავით ღამბაშიძეს ოხუნჯობით უთქვამს: «ბ-ნი მიხაკო წერეთელი გაშმაგებით ებრძვის სოციალისტებს, მაგრამ პარიზში რომ ჩავა ხოლმე, ეახლება ნოე ჟორდანიას და «ჩაშკალოშკებული» მიირთმევენ ჩაის ბისკვიტებით». ჩვენ დავიწყეთ სიცილი მიხაკომ გადმოგვხედა გაწყრომით და სთქვა: «რას იღრიჭებით, აჰ? შევარცხვინე ისეთი პოლიტიკური შეხედულება, რომელიც აღმიკრძალავს ჩემს თანამემამულეს შევხვდე, და მეორეც ჩემს პრეზიდენტს ვეაჭლები, აბა როგორ ჰგონიათ!»

ერთხელ მას გამოეკამათნენ, ნოე ჟორდანიასთან შეხვედრის გამო საქართველოში, როდესაც ის საიდუმლოთ ჩამოვიდა და მაშინ სთქვა:

«რას მიედება ეს ხალხო, ნოე ჟორდანიამ უფრო მეტი რამ მითხრა, მაგრამ ეს შემდეგ გამოქვეყნდება (სამწუხაროდ ეს არ მოხდა!). მე მაშინ გავიგე თუ რა რიგ აწუხებდა ნოეს ჩვენი ხალხის ბედი და როგორ სურდა მას ქართველი ხალხის განთავისუფლება, ოღონდ ერიდებოდა, საფრთხეში არ ჩავარდეთ, არ დავღუპოთ ქვეყანაო, უდროოდ რომ რაიმე ვიმოქმედოთო!»

განსაკუთრებით დაახლოებული იყო განსვენებული კარლო ჩხეიძესთან, ერთი რომ მეზობლები იყვნენ, ოჯახურად იცნობდნენ ერთმანეთს და მასთან კარლო მისი უფროსი ძმის ცნობილ მოღვაწის და პუბლიცისტის ვასილ წერეთლის მეგობარი იყო. მიხაკოს კარლო ბუნებით ჭკვიან კაცად მიაჩნდა და დიდ პატრიოტად. ხშირად მოყვებოდა კარლოს ნათქვამს და მის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს.

ერთხელ ერთმა ახალგაზრდამ ქართულ გაზეთში მწვავე წერილი მოათავსა მთავრობის წინააღმდეგ. მიხაკომ ის დაიბარა და უთხრა: «დამიგდე ყური, შენი წერილი შეუწყნარებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია; გაგიგია ჩვენი მთავრობის წინაამდეგ გაილაშქრო?! სხვა რა დაგვრჩენია მთავრობის გარდა? ის მეტყველია ჩვენი სახელმწიფო არსებობისა! ჩვენ უნდა ვიცავდეთ მას, ჩვენ! ჩვენ არ უნდა ავყვეთ უპასუხისმგებლო ხალხს, არ უნდა ვიკადროთ ეს და რაც არ უნდა მოხდეს, უნდა ვიცავდეთ მას!»

დიდი პატივისმცემელი იყო მიხაკო განსვენებულ ევგენი გეგეჭკორის. მოსწონდა ის აგრეთვე როგორც ქართველი ტიპი და მასთან მისი მეგრული თავდაჭერა, თავაზიანობა. ევგენი მიხაკოზე უმცროსი იყო, როდესაც მიხაკომ გიმნაზია დაამთავრა ევგენი უმცროს კლასში იყო. მიუხედავათ ამისა, არასდროს მას მიხაკო «შენობით» არ მიმართავდა, არამედ «თქვენ, ბატონო ევგენი», ხშირად «ბატონო მინისტრო».

ერთხელ ვუთხარი ამის გამო, რომ ჩვენში სოფელში, კაცი მამასახლისთან რომ მივიდოდა, თუმცა ეს მისი მეზობელი იყო, მაგრამ მაიც «თქვენობით მიმართავდა და აი «მიხაკო წერეთელო, შენც ასთე ხარ, გეტყობა მსახურ აზნაურთა წოდებას რომ ეკუთვნით».

ამაზე გამიღიმა და ზემო-იმერული კილოთი მითხრა: «თქვენს» ვეტყვი, აბა სხვანაირად გაგონილა განა!»

უკანასკნელად, გარდაცვალების წინ, ევგენი რომ მიუნხენში ჩამოვიდა, მიხაკოსთან მიბრძანდა, მეც გამიყოლია. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, ევგენი ადგა და მოგვმართა: «ერთს რაიმეს მოვითხოვ თქვენგან, რაც არ უნდა მოვიმოქმედო, გავაკეთო, გვერდში ამომიდექით, ზურგი გამიმაგრეთ, ყველაფერში თანმომყევით!»

მიხაკო მწამსვე წამოხტა და გადაეხვია. ჩამოვარდა სიჩუმე. გამოგვეთხოვა. მიხაკომ გააცილა, როგორც ჩვენშია მიღებული, ჭიშკრამდის (სახლი ეზოში იდგა) და სანამდინ ტაქსი არ დაიძრა, ფეხი არ დაუძრავს და ხმამაღლა წარმოსთქვა: «მე კი ვერ მოვესწრები, მაგრამ თქვენ კი გაგიმარჯოთ»-ო! შემდეგ გაიხედა იქითკენ საითაც ტაქსი წავიდა და სთქვა:

«კურთხეულ იყოს საქმენი შენი, საკელთილდღეოთ ჩვენი ხალხისა».—და გადაიწერა პირჯვარი.

კეთილშობილი ქართველი, კეთილშობილად ცხოვრობდა კეთილშობილად იღვწოდა თავისი ქვეყნისათვის და კეთილშობილი სახელი დასტოვა ამა ქვეყნად. გასცილდა ამა ქვეყანას დიდი მეველე ქართული ეროვნული კულტურული და პოლიტიკური ყანისა, რომელიც ერთხელ უსათუოდ თავისუფალ ქვეყანაში მოსავალს მოსცემს სადიდებლად ჩვენი ქვეყნისა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუბენ ყიფიანი

პარიზიდან დაშორებულმა თავზარდამცემი ამბავი მივიღე. ერთი მეგობარი მწერდა: «რა უნდა დაგიმალო, მე თუ არა სხვა გაცნობებს, რომ რ. ყიფიანს ავტომობილი დაეტაკა და ხუთი წუთი აღარ უცოცხლია». ო. საშინელი გულისტკივილი ვიგრძენი—ახლო მეგობრის ასე უმოწყალოთ დაკარგვის გამო. რა არის ადამიანის ცხოვრება? პარიზიდან დაბრუნებული—თავის საცხოვრებელ ბინასთან მისული—ესალმება წუთისოფელს და როგორ?

ნათლად მახსოვს, თუმცა 60 წელი გავიდა მას შემდეგ, როცა რამოდენიმე ახალგაზდა ამხანაგებმა თავი შეგვყარეთ—აქ იყვნენ ლევან დადიმკელიანი, შამშე გელოვანი, ბიქტორ ახვლედიანი არტემ ბოჭორიშვილი, რუბენი მოიყვანა შამშე გელოვანმა. ამ დღიდან მოყოლებული ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა. არ შეწყვეტილა ამ დღიდანვე დაწყებული მუშაობა რ. ყიფიანის ს.-დ. პარტიაში. მას არ დაჰკლებია ციხეციმბირი, მაგრამ არასოდეს მისი რწმენა შევიწროებას და დევნას არ შეურყევია.

ციხიდან დაბრუნებული იგი მეორე დღესვე უდგებოდა დავალების შესრულებას. მას ჰქონდა მაგარი ნებისყოფა და გამძლეობა როგორც ფიზიკური ისე სულიერი. მას არასდროს გადაუხვევია ერთხელ აღებულ გზისთვის. იშვიათი ნიჭით დატვირთულმა და განსაკუთრებული მეხსიერების პატრონმა თვითგანვითარებით დაიმსახურა მწიგნობრის სახელი.

რუბენს გადაკითხული და შესწავლილი ქონდა ჩვენი ცნობილი მწერლების ყველა ნაწარმოები. მათ შესახებ მას ქონდა საკუთარი შეფასება და საკუთარი აზრი. ამავე დროს სწერდა ლექსებს, რომელიც იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

——

დაპყრობის შემდეგ,—როცა რუბენი დასახლდა ქ. სოშოში (საფრანგეთი), მან შექმნა საკუთარი ბიბლიოთეკა. ცდილობდა შეეძინა სამშობლოში გამოცემული ნაწარმოებნი.

რუბენი იყო ენაწყლიანი, მიმზიდველი მოსაუბრე; თავის ქარაგმული თქმებით და ანდაზებით—იგი იზიდავდა მსმენელთ და არწმუნებდა მის მიერ დაცულ აზრის სისწორეში.

იგი ფიქრობდა სამშობლოზე, სუნთქავდა მისი ჰაერით, აზროვნებდა მისი სიყვარულით.

უკანასკნელად რუბენი ქადაგებდა, ცდილობდა პარტიულ რიგების გაერთიანებას,—ინატვროდა მთელი ქართველობის ერთობას.—რაც მას არ დასცალდა.

მშვიდობით ჩემო ძვირფასო რუბენ.

ხ. ახათიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრის ხსოვნას

რუბენ ყიფიანი დაიბადა 1882 წელს სოფელ ქოშხაში (ლეჩხუმის მაზრა). «ბუნების კარი» მას აღუძრავს სწავლის წყურვილს. ლაილაშის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადასწყვეტს თვითგანვითარების გზით მიაღწიოს თავის მიზანს. დიდი ნიჭის პატრონმა თავის მიზანს მიაღწია.

ილიას და აკაკის ნაწერებს გაფაციცებით ეძებს და იზეპირებს. მისი მამა ლუარსაბი კი კარგი საზოგადოების კაცი იყო და მის ოჯახს არ აკლდა თავისი დროის საუკეთესო სტუმრები, მათ შორის იასონ გელოვანიც. შეხედულობით მომხიბლავი იასონი, თვითონაც თვითგანვითარების საშვალებით იყო დაწინაურებული და მას არ გამოჰპარვია პატარა რუბენის გაშლილ პირისახეზე მიმალული სურვილები. რუბენი მან თავის სახლში წაიყვანა და დაიმეგობრა. რუბენმა აქ ნახა «ვეფხვის ტყაოსანი»—წაიკითხა და დაიზეპირა. როგორც საკუთარი მამის ოჯახში, ისე იასონისას, მას ხშირად უწევდა უკვდავი პოემიდან საუკეთესო ადგილების ზეპირათ წარმოთქმა. ამავე ოჯახებში ხვდებოდა ის უამრავ სტუმრებს, რომლებიც ერთმანეთში ძველი ანდაზებითა და ანეგდოტებით პაექრობდნენ. ნიჭიერი ბავშვის გულმა გადმოხატა ყოველივე ეს და ზრდასთან ერთად შეისისხლხორცა და ჩვეულებად გადაექცა. ასეთ ატმოსფერაში ნახულმა თუ გაგონილ მა გაამდიდრა მისი სურვილები...

რუბენი იასონის შვილ შამშესთან ერთად კითხულობენ პოლიტიკურ წიგნებსა და ბროშურებს, ერთად ითვალისწინებენ მომავალს. ეს ის დროა როცა სოციალდემოკრატიული მოძრაობა გარკვეულად გამოდის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე და შამშე და რუბენი უერთდებიან ამ მოძრაობას. რომელთა შორის იყვნენ: ლევან დადეშკელიანი, სოსიპატრ (ჯიჯიკო) ასათიანი, ვიქტორ და პლატონ ახვლედიანები, არტემ ბოჭორიშვილი და სხვები.

ეს ახალგაზდობა ხელმძღვანელობს 1905 წლის რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის აჯანყებას და გამარჯვებულნი გამაგრდებიან კიდეც ორპირში, მაგრამ ქვეყნის სხვა მხარეებში უკვე დამარცხებულ აჯანყებას ორპირი ვეღარ იხსნის და ამიტომ ტყეს შეაფარეს თავი. და მართლაც, საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიიდან იმათი თავდადებული ბრძოლები ყველას დასანახავათ მოსჩანან. ასე, რომ, სანამ რუბენი თბილისის მუშათა მოძრაობასა და პარტიის ხელმძღვანელობას დაუახლოვდებოდა, ის უკვე ბრძოლებ გადახდილი იყო ლეჩხუმის მაზრაში და ამ მაზრის მშრომელი საზოგადოების დიდი სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა. დედა-ქალაქში ის ჩავიდა საუკეთესო ორგანიზატორის დიპლომით. მაგრამ რუსის ჟანდარმებმა ის მრავალჯერ დაატყვევა და გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასახლა ციმბირში. ციმბირში მისი გადასახლება ყოველ თვის საშობლოში გამოპარვით მთავრდებოდა და ბრძოლას აგრძელებდა.

მაგრამ ომით შერყეული რუსეთი რევოლიუციის ალში გაეხვევა... საქართველო განთავისუფლდება და მის უზენაეს კრებულში რუბენი დეპუტატია. მთელი თავისი ავტორიტეტით ის იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და ნორჩი რესპუბლიკის წინააღმდეგ მოტანილ იერიშებს გააფთრებით ებრძვის, როგორც საქართველოს მთავრობის რწმუნებული.

მაგრამ ბოლშევიკური მოსკოვის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლა ამაო ხდება...

ერთხელ კიდევ წაილეკება საქართველოს თავისუფლება. რუბენი ლტოლვილია... სტამბოლი, ბერლინი, პარიზი, სოშო და ბოლოს 80 წელზე გადასული სახლდება ლევილში. მისი გემოვნებით მოწყობილი ბინა, ღია იყო ყველა ქართველებისათვის. მისალმებისთანავე სწრაფად აკრებდა მაგიდიდან საწერკალამსა და ქაღალდებს... აი, ამ მაგიდაზე ღებულობდა რუბენი ამხანაგებს, ამ მაგიდაზე უმასპინძლდებოდა მეგობრებს, აქვე დაწერა მან უკანასკნელი ლექსი «სამშობლო» და დაიწყო მისი მოგონებების წერაც. «რალფი»-ს ხელმოწერით, ლტოლვილობაში მრავალი ლექსი აქვს მას დაწერილი და გამოქვეყნებული.

მაგრამ დახეთ ბედისწერას: 16 თებერვალს რუბენს ავტომობილი დაეჯახა და სამუდამოთ გამოასალმა წუთისოფელს.

27 თებერვალს ლევილის ძმათა სასაფლაოზე უამრავი ქართველების თანადასწრებით მოხდა რუბენის დასაფლავება. მხურვალე სიტყვებით გამოემშვიდობენ მას მისი ამხანაგები და მეგობრები: მირიან მელუა, ნოე ცინცაძე და ალექსანდრე შათირიშვილი. წაკითხულ იქნა სამგლოვიარო დეპეშები: რუბენის ძმის შვილის შვილებისაგან, მის სიყრმის ამხანაგის სოსიპეტრ ასათიანისაგან, ანტონ ყორყოლიანისაგან, კატია დადეშკელიანისაგან და გალაქტიონ ასათიანისაგან.

მადლიერი ერი არ დაივიწყებს რუბენის სახელს.

მეგობარი.

ძვირფასი ოჯახი.

ქ. ჭიათურიდან მივიღეთ მეტად სამწუხარო ცნობა. იქ ალექსანდრე და კატო ხაბულიანების გარდაცვალების შესახებ. ალექსანდრე ჭიათურაში დასახლდა 1902 წელს

პირველად იგი მოთავსდა ადმინისტრაციაში გადამწერის თანამდებობაზე. მან ვერ გაუძლო იქ გამეფებულ უსამართლოებას და ამხანაგების დახმარებით მოეწყო დღიურ მუშად ელსადგურში, სადაც ამავე დროს მუშაობდნენ ძველი რევოლიუციონერები: კ. მოდებაძე, ტერენტი წერეთელი, მ. გაჩეჩილაძე, ვ. ყიასაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მუყაითად და საქმის სიყვარულით, მთელი თავის ენერგიით ჩაება სოციალდემოკრატიულ მოძრაობაში, ათავსებდა აგრეთვე სისტემატიურად კორესპოდენციებს ნუშათა და სოფლის ცხოვრებიდან ჟურნალ «კვალში», სწერდა ლექსებს, თანდათანობით მან მოიხვეჭა სახელი, დამსახურება და ყველას პატივისცემა.

ჭიათურაში აპატიმრებენ ნ. ხომერიკთან, ნ. ჩხიკვაძესთან და დათიკო მიქელაძესთან ერთად აგზავნიან ქუთაისის ციხეში. ქუთაისში თბილისის ქუჩაზე მათ მოუწყვეს თავდასხმა. ალექსანდრე, ნესტორი და დათიკო განგებ დაჯდნენ მიწაზე, ხოლო ნოე ხომერიკს მისცეს საშუალება გაქცეულიყო. ორი თვის შემდეგ ესენიც განთავისუფლდნენ, რომლებიც მეორე დღესვე შეუდგნენ პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრეს თვით თვალყურს ადევნებდნენ და მოელოდა დატუსაღება. მისი ოჯახი, და აგრეთვე გრიგოლ ფხალაძის, სამსონ ფალავას, ნატაშა სიხარულიძის (კირთავა), ბიქტორ მელიქოვის ოჯახები—იყვნენ თავშესაფარი სხვადასხვა დროს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების და ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის.

ხშირად იყვნენ ალექსანდრეს სტუმრები ნოე ხომერიკი, ზაქარია გურული, შალვა აბდუშელი, კოტე ცინცაძე და სხ.

1918 წელში ალექსანდრე ხაბულიანი ქ. ჭიათურის თვითმართველობის ხმოსანია.

მისი მუდმივი თანამგზავრი და ერთგული მეუღლე კატო იყო მუდამ მის გვერდში, მასთან ერთად ღებულობდა მონაწილეობას საზოგადო და სოციალდემოკრატიულ მოძრაობის საქმეში. ალექსანდრეს მით უფრო უადვილდებოდა და უდიდესი ხალისით და ენერგიით განაგრძობდა მოღვაწეობას, როცა მისი მეუღლე მისი თანამოაზრე, მის გაჭივრების თუ დალხინების მოზიარეთ ეგულებოდა.

დაპყრობის შემდეგ ჭიათურის სამრეწველო მმართველობასთან იყვნენ მიმაგრებულნი—ალექსანდრე ხაბულიანი და ცნობილი ექიმი სვიმონ ჯაფარიძე. ისინი საკმაო თანხას უყრიდნენ თავს, რაც გადადიოდა დამკობის ფონდში ან კიდევ ხმარდებოდა ციხეში გამომწყვდეულთა ოჯახებს.

ალექსანდრეს ვაჟი—ჯაბა დღეს უცხოეთში იმყოფება. იგი დარჩა ერთგული თავის დედ-მამის იდეებისა და რწმენის,—ერთგული იმ სოციალდემოკრატიული პარტიის რომლის რიგებში იბრძოდა მისი საყვარელი დედ-მამა.

ალექსანდრე და კატო დღეს ჩვენთვის სიმბოლიურად წარმოადგენენ იმ მრავალ ათას ქართულ ოჯახებს, რომლებიც ჩაებენ სოციალდემოკრატიულ პარტიის მუშაობაში და შექმნეს საქართველოში დიდი სახალხო მოძრაობა. მათ უმწიკვლო და თავდადებულ შრომას ვერ დაივიწყებს ბრწყინვალე თაობის მომავალი ისტორიკოსი.

ვალიკო ჩუბინიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცირე შენიშვნები დიდ საკითხებზე.

1

სამხრეთ აზიაში მომხდარი ამბები და განსაკუთრებით—ინდოჩინეთის ტრაგედია სამართლიანათ იქცევს განათლებულ კაცობრიობის ყურადღებას. რანაირი ცვალებადობაც არ უნდა განიცადოს იქ (როცა ეს სტრიქონები იწერება)—სამხედრო შეტაკებებმა, ძირითადი მიზეზები რჩებიან და ალბათ ინტერესთა დაპირისპირების მოგვარება, არც ისე ადვილი საქმე იქნეს. ამერიკა იცავს სამხრეთ ვეიტნამის ეროვნულ თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას და ამავე დროს წინ ეღობება კომუნიზმის ექსპანსიას... ხოლო პეკინ-მოსკოვის საერთო მოჩვენებითი ფრონტი სრულებით ვერ ფარავს ამ ორ წითელ სახელმწიფოთა ქიშპობას,—თავიანთ, საკუთარ გავლენის მოსაპოვებლათ აზიის ამ კუთხეში... საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ აზიაში საერთოთ განიცადა ცვლილება. სტალინი ცდილობდა ადგილობრივ აფეთქების, აჯანყების და სოციალური რევოლიუციის გამოწვევით—მოსკოვის გაბატონებას. მის შემდეგ ტაქტიკა იცვლება.

ევროპაში თანაარსებობის გატარებით საზოგადოებრივი აზრის მიძინება,—ხოლო აზია აფრიკის ქვეყნებში «ნეიტრალურ ერთეულთა შექმნა—მათთვის ტექნიკურ-ფინანსიური დახმარებით—ერთგულ მოკავშირეთა შეძენა. ევროპაში—შესაძლებელი გახდა ჯერჯერობით თანაარსების სტრატეგიის განხორციელება, აზია-აფრიკის მხარეებში საქმე უფრო რთული გამოდგა. მოსკოვი იძულებული ხდება მრავალ ახალ სახელმწიფოთა--ნაციონალურ ბურჟუაზიასთან—დაიკავოს საქმე, კიდეც ეთვისება მას და აღიარებს, რომ ანტიიმპერიალისტური. ანტიკოლონიალური ბრძოლა შეუძლებელია ბურჟუაზიულ ძალებზე დაყრდნობის გარეშე, და მას სთვლის მხოლოდ რეალურ მოვლენათ, აფრიკა-აზიის ქვეყნების საზოგადოებრივ-ეროვნულ ცხოვრების წამყვან ძალათ. საბჭოთა პოლიტიკის ორპირობა აშკარა ხდება, თუმცა იგი ძალიან ცდილობს თავის საიმპერიო ინტერესები შეუფარდოს—საკუთარ პარტიის იდეოლოგიურ კონცეპციას... ეს შესაძლებელი იყო მაშინ, როცა ადგილობრივი კომპარტიები თავიანთ წმინდა მოვალეობათ სთვლიდნენ «საბჭოურ სოციალიზმის» და წყობილების დაცვას... მაგრამ დრონი იცვალენ. მრავალ ქვეყნების კომპარტიებმა, წითელ მექაში სირბილს თავი მიანებეს და მას გადაუდგნენ კიდეც... ამავე საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის ჩინეთი—უკიდურესი ლოზუნგებით... კომუნიზმის გამარჯვება—ნიშნავს ჩინეთის გამარჯვებას. ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი გიგანტის ინტერესები ეტაკება ერთიმეორეს. ეს გამოჩნდა ჩინეთ-ინდოეთის კონფლიქტის დროსაც.

საბჭოთა რუსეთი—კაპიტალისტურ ინდოეთის მხარეზე აღმოჩნდა,—კომუნისტურ ჩინეთის წინააღმდეგ და ამხრივ მიაწოდა მას საგრძნობი სამხედრო და ტექნიკური დახმარება... საბჭოთა მთავრობა მოითხოვს მართალია, მალეზიიდან ინგლისის ჯარების გაყვანას და ვიეტნამიდგან—ამერიკელების; მაგრამ ჩინეთის აქტიურობა მას იმდენათ აფრთხობს, რომ ეს მოთხოვნილებები უბრალო საპროპაგანდო საფარათ მოსჩანს. და აკი უკანასკნელად პეკინი ბრალს სდებს მოსკოვს, რომ იგი ნამდვილ დახმარებას არ უწევს ჩრდილო—კომუნისტურ ვიეტნამს... თორემ რუსეთს არ აკლია ატომიური თუ სხვა იარაღი რომ მას მართლაც სურდეს დახმარებაო...

რასაკვირველია, რუსეთს ჩინეთის მხედრული ძლიერების ჯერჯერობით მართლაც არ ეშინოდეს, მაგრამ მას აფრთხობს, აფიქრებს სულ სხვა გარემოება.

სახელდობრ: საბჭოთა რუსეთის მართველობის,—რომელმაც ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფამდე მიიყვანა, მარცხი რომელიც მან განიცადა კუბაში, ხოლო ბერლინის მუქარაზე და დაშინებაზე ხელი აიღო, ამერიკის გასწრებაზე სიტყვასაც ვერ ძრავს,—მისი სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს მისგან მუდამ გაკიცხულ კაპიტალიზმთან თანაარსებობის ტაქტიკა გააგრძელოს და გააღრმაოს, მით უმეტეს, რომ დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნების მთავრობისგან მან მიიღო უკვე გრძელვადიანი სესხი—და სხვებთან კი დასდო სავაჭრო ხელშეკრულებანი. მაშასადამე თუ ის აზიის ქვეყნებში დაეტაკა დასავლეთს, რომლისგან ის რამოდენიმეთ დამოკიდებული ხდება ეკონომიურად, თანაარსებობისგან მიღებული სარგებლობა მას მოესპობა და საგარეო ფრონტზე საქმე გაურთულდება და ეს მაშინ, როცა «სატელიტები»-ც კი დასავლეთისკენ იხრებიან და მასთან კავშირშიც კი შედიან.

რასაკვირველია, მოსკოვს არ შეუძლია ხელი აიღოს კომუნისტურ იდეოლოგიის პროპაგანდით—თავის საიმპერიო ინტერესებზე. მაგრამ მის ამდაგვარ ორმაგ პოლიტიკას მოხერხებულად იყენებს ჩინეთი, რომელიც თუ თვითონაც კარგად ურიგდება და ეთვისება აზიის ზოგიერთ ნაციონალისტურ წრეებს, მათ ბატონობას, სამაგიეროთ იყენებს რასიულ მოტივებს და თანდათანობით გზას იკაფავს, თავის გავლენის გასაძლიერებლათ და მოსკოვის იქიდან გასაძევებლათ.

2

ხრუშჩოვს განზრახვა ჰქონდა კომპარტიების საერთაშორისო ყრილობაზე მოეხდინა ჩინეთის კომპარტიის გასამართლება, დაეგმო მისი ტაქტიკა და უმთავრესად უკუეგდო მისგან წარმოებული იტერპრეტაცია მარქსიზმ-ლენინიზმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გამოსვლებიდან სჩანდა, რომ იგი მზათ იყო განხეთქილებაც კი მოეხდინა, ვინემ რაიმე დათმობაზე წასულიყო... მის მემკვიდრეებმა კი აირჩიეს მიკიბულ-მოკიბული ფორმულები და ჩინელებთან თითქოს მორიგების გზის გამონახვა, რითაც მოსკოვი ძალოლოდ უფრო დამცირებული გამოვიდა. მოსკოვში წინასწარ მოწვეულ კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრენ 19 ერის წარმომადგენელნი, გამოირკვა საბჭოთა კომპარტიის წამყვანი როლის სრული სისუსტე, რომელიც იძულებული გახდა ადვილად შერიგებოდა რუმინელების უარს კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ. საჭირო გახდა ხანგრძლივი მოლაპარაკება ინგლისის სუსტ პარტიასთან, რომელიც დათანხმდა დასწრებაზე იმ პირობით თუ არ იქნებოდა არავითარი მსჯავრი გამოტანილი ჩინეთის კომპარტიის შესახებ. კამათის დროს აღმოჩნდა გადახრა ჩინელებისკენ,—პორტუგალიის, ისპანიის, საბერძნეთის და რამოდენიმეთ სკანდინავიის ქვეყნებისაც. ჩინელებმა ფეხი მოიკიდეს ზოგიერთ აფრიკის ქვეყნებში, როგორიც არის კონგო-ბრაზავილი, მალი, ზანზიბარი და სხ...

მოსკოვის ახალი მართველები შეიძლება ფიქრობდნენ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, ფუჭი ოცნებაა. წითელ მექაში მოსიარულეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. გუშინდელი ერთგულნი მას თანდათან სცილდებიან და მის წინააღმდეგ გამოდიან ..... დაწყებული შებრუნება უსათუოთ უფრო გაღრმავდება და თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა...

3

ყოველი დიქტატურა უძველეს დროიდან მოყოლებული ამართლებს სოციალ-პოლიტიკურ დესპოტიას—ხალხის გაბედნიერების სურვილით. ამ გზას გაჰყვა ევროპაში წარმოშობილი და აწ განსვენებული ფაშიზმი, ხოლო ბოლშევიზმა შესძლო ჯერჯეროობით ხელისუფლების შენარჩუნება; ნახევარი საუკუნის მანძილზე ხალხის სახელით და მის გაბედნიერებაზე განუწყვეტელი ტრაბახით—ნადგურდება ხალხი ფიზიკურად, იჩაგრება სოციალურად და ეკონომიურათ... საბჭოთა მთავრობამ უსათუოთ მძიმე წარმოების ინდუსტრიალიზაციას, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის ნივთიერად მოღონიერება, მოქალაქის ნივთიერად უზრუნველყოფა. მოხდა წინააღმდეგი.

რატომ?

ოქტომბრის გადატრიალების მიმღინარე დღეებში სტალინი სწერდა:

«ჩვენ ვმუშაობთ კაპიტალიზმით შემოფარგულ გარემოში. ამიტომ ჩვენი სახალხო მეურნეობა უნდა განვითარდეს როგორც ეკონომიური ერთეული დაყრდნობილი შინაგან ბაზარს»...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის ეს უტოპიური ამბავი დაიჯერა მის ერთგულ ამალამ და გაჰყვა მის რჩევას. საბჭოთა კარჩაკეტილი ეკონომიური პოლიტიკა დაუპირისპირდა,—დანარჩენ კაცობრიობის იმ აუცილებელ გზას, რომელიც თავს უყრიდა ყველა ერებს საერთო ბაზარზე. ეს იმ დროს, როცა არცერთ ერს არ შეეძლო და არ შეუძლია იცხოვროს განცალკევებით საკუთარი ბაზრით ... რასაკვირველია სტალინის ხელში აღმოჩნდა რუსეთის უდიდესი ნაციონალური სიმდიდრენი, მან ხელი მიჰყო მის საშინელ ექსპლოატაციას, მსგავსათ ეგვიპტის ფარაონებისა, რომლებსაც მასზე ნაკლები სიმდიდრენი არ ქონდათ, მათი ცნობილი მეთოდებით გატარდა კოლექტივიზაცია სოფლად, ინდუსტრალიზაცია ქალაქად... ვის არ ახსოვს «სტახანოვშინა», «შრომის გმირები», წიგნაკებით ქარხანაზე მიმაგრება, «სუბოტნიკები». «შრომის იდეალიზაცია» და მრავალი სხვ. რამაც შეიწირა რამოდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე... საბჭოთა სახალხო მეურნეობაში მიმდინარე კრიზისის ძირები მოდის სწორედ ერთხელ სტალინისგან მიღებულ უტოპიურ თეორიულ და პრაქტიკულ დებულებებიდან... წარმოებისთვის ცხადია, კაპიტალია საჭირო, მაგრამ იგი რუსეთში არ შედიოდა, არამედ იკვებებოდა გაღატაკებულ მცხოვრებთაგან აღებული გროშებით.

კაპიტალი ინტერნაციონალურია, კაპიტალისტურ წყობილებაში ეს ადვილად წყდება. იგი მოდის კონკურენციის საშვალებით. კაპიტალი მუდამ ცდილობს წასაგები წარმოების უკუგდებას და მომგებიანში გადასვლას, მაგრამ თუ რომელია წამგებიან-მომგებიანი ამას უჩვენებს ბაზარი სოციალურ ძალთა ერთი-მეორესთან შეჯიბრება... რადგან საბჭოთა რუსეთში აღარ დარჩა კლასი კაპიტალის დამგროვებელი და წარმოებაში დამბანდებელი —ეკონომიური სისტემის კაპიტალი დარჩა ერთად-ერთი—ცოცხალი კაპიტალი, ე. ი. ადამიანის შრომა, რაც რუსეთში საკმაოდ აღმოჩნდა, რომლის მოხმარა და გამოყენება პოლიტიკურად ადვილი იყო—დიქტატურის ხელში, მაშინ როცა კაპიტალისტურ სისტემაში მთავარი სიმძიმე გადატანილია მუდმივ კაპიტალზე, ხოლო მცირე სამუშაო ძალაზე... აქედან ორი უდიდესი შედეგი, საქონლის სიძვირე და სიცოტავე...

ასე იბოგინა უკანასკნელ ომამდე საბჭოთა ეკონომიკამ, მან მშრომელთა ჯანითა და ოფლით, ადამიანთა სიცოცხლის შეწირვით მიაღწია ტექნიკის განვითარებას, მაგრამ არა ხალხის კეთილდღეობას...

თუ საბჭოთა სახალხო მეურნეობის არსებობა შესაძლებელი იყო ცოცხალი კაპიტალით და შინაური ბაზრით, ომის შემდეგ ვითარება უსათუოთ იცვლება, გამოწვეული როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ გავლენით, ისე შიგნით საზოგადოებრივ აზრის ოდნავ გამოფხიზლებით და მისი დაწოლით... მართალია შრომის პირობები და სოციალური კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონმდებლობა არც შემდეგ შეცვლილა, ან გაუმჯობესებულა, მაგრამ რადგან საბჭოთა მთავრობამ ომის პროცესში დაპირებული—მშრომელ მასსებს ვერ გაუნაღდა, მან ოდნავ მაინც შეამსუბუქა ადმინისტრაციული წესები, ფარდა ცოტათი აიხადა და გამოჩნდა ეკონომიური სისტემის სრული სიკოტრე და ხალხის სიღატაკე.

საბჭოთა მთავრობა იძულებული ხდება კაპიტალის სხვა წყაროს ეძიოს,—ასეთი აღმოჩნდა «სატელიტები» თუ ანექსია ქმნილი ერების ნაციონალური დოვლათის იაფ ფასად შეძენა და აქედან ფინანსიური თუ ეკონომიური დეფიციტის შევსება.

1953 წლიდან ამ ქვეყნების გაყვლეფაც შეუძლებელი შეიქნა. უმთავრესათ «სატელიტებში» ნაციონალური ინტერესების დაცვა და მოსკოვის «მფარველობიდან» განთავისუფლების სურვილმა გაზაროა... ეს შემოსავლის წყაროც მოესპო მოსკოვს. ამ ხნიდან გაძლიერდა უცხო კაპიტალისტების კარებზე ხეტიალი, ხელგაშვერილი თხოვნა,—გრძელვადიან სესხის მისაღებათ... ხოლო შიგნით მრავალ რეფორმათა გამოცხობა, მაგრამ არა ლიბერალური ზომებით—სისტემის შემსუბუქებით, არამედ კომპარტიის კონტროლის გაძლიერებით—სახალხო მეურნეობის ორად გაყოფით და პარტიულ ბიუროების ზევიდან თავზე მოხვევით... ცხადია «პარტ. აპარატჩიკები დააფრთხო კრიზისმა, პოლიტიკურ მართველობის შერყევის შესაძლებლობამ, მაგრამ სახალხო მეურნეობაში წარმოშობილი ქაოსი უფრო გაძლიერდა და უკანასკნელ ხანებში მან მიიღო მწვავე ხასიათი, რამაც გამოიწვია ცნობილ ეკონომისტების ლიბერმან-ტრაპეზიკოვის გამოსვლა პრესაში... ორთავემ გააკრიტიკეს არსებული სისტემა დაახლოებით ერთდაგვარად და მით გამოააშკარავეს საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის უვარგისობა...

მათ მოითხოვეს, ცენტრიდან დირექტივების მოცემის მოხსნა, ზევიდან გეგმებით მართვა სამრეწველო დარგების ხელშეკრულების დადება სავაჭრო დაწესებულებებთან, მომხმარებელთათვის მოთხოვნის თანახმად პროდუქციის დამზადება, მომგებიანი წესების შემოღება და ფასების დაწესება, როგორც რეგულიატორი საწარმოო დარგების მდგომარეობისა და პროდუქციის ღირსება-ნაკლულოვანების მაჩვენებელი საქონლის თვით ღირებულების შემცირების მიზნით ადგილობრივ სამმართველოების უფლების მინიჭება მუშახელის შერჩევისა და რიცხობრივად განსაზღვრის, ფინანსიური ოპერაციების უფლება და სხვ.

ხრუშჩოვის გადადგომის მეორე დღესვე მისი მემკვიდრეები იძულებული გახდნენ ყურადღება მიექციათ ეკონომისტების მიერ წამოყენებულ გეგმისთვის და გადაიყვანეს კიდეც რამოდენიმე ათეული ქარხანა წარმოების ახალ სისტემაზე.

30277

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1963 წელს იმავე კოსიგინ ბრეჟნევის მონაწილეობით პლენუმმა უარყო პროფ. ლიბერმანის პროექტი. ხოლო დღეს მისი მიღება და ისიც მხოლოდ მცირე რიცხვ წარმოებაზე გამოწვეულია იმ მიღებულ მეთოდის მიხედვით, როცა თითეული «კლანის» მიერ ხდება ახალი იმედების დათესვა, საბჭოთა საზოგადოების გაბრიყვება, თორემ საბჭოთა მთავრობა ოდნავ არ ფიქრობს ლიბერმან ტრაპნიკოვის ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიღებას. მას არ შეუძლია მოხსნას პარტიული კონტროლი, ამა თუ იმ სახით იგი ეხლაც ავრცელებს საცდელათ გადაყვანილ წარმოებაზე—და საერთოდ არც ფიქრობს მთელი წარმოების ახალ რელსებზე გადაყვანას. რადგან ეს იქნებოდა თვით დიქტატურის გადაშენება. თვითმკვლელობას საკუთარი ხელით ვერ ჩაიდენს, ხოლო პროცესი დაწყებული ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებისა ბოლოს მოუღებს არსებულ სოციალ-პოლიტიკურ დესპოტიას.

ბ. ს.

ლენინი და ეროვნებათა საკითხი.

II

ე. ი. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებას, ლენინის არსენალში მარტივი იარაღის დანიშნულება ჰქონდა. ერთმხრივ მას უნდოდა დაენგრია რიგები რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებისა და მეორე მხრით მას სურდა დასავლეთის კოლონიალური იმპერიები. ლენინს მკვეთრად ჩამოყალიბებულ, დასრულებულ და სრულყოფილ საქმიდან ვხედავთ ერთ ფაქტს, რომლის უარყოფა შეუძლებელია და თავის სახით გადავიდა ისტორიაში. ლენინი რუსი ნაციონალისტია. მთელი პარტიული იდეოლოგია და ინტერნაციონალური ლოზუნგები მიმართული მთელ კაცობრიობისადმი, მას სჭირდება მხოლოთ ერთი მიზნისთვის... მხოლოთ წითელ ი კრემლისთვის.

როგორი სახე მისცა მოსკოვმა თავის თეორიის განხორციელებას პრაქტიკულ პოლიტიკაში რუსეთის რევოლიუციის, სამოქალაქო ომის განმავლობაში და მის შემდეგ?...

ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ, თითქმის პირველ დღეებშივე გადადგმულ იქმნენ გარკვეული ნაბიჯები დაპყრობილ ერების მიმართ.

1917 წლის 3 ნოემბერს აღიარებული იქნა «რუსების ერების უფლებათა დეკლარაცია... რომელიც ანიჭებდა ამ ერებს უფლებას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკიდან ჩამოშორებისა, ერთა თვითგამორკვევის უფლებათა ნიადაგზე.

რას წარმოადგენდა თვით «რუსეთის ერების უფლებათა დეკლარაცია» დამტკიცებული 3 ნოემბერს 1917 წ. ჯერ თვით სახელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკლარაცია ამ ერებს ურყევათ სთვლის რუსეთის საკუთრებათ (რუსეთის ერები). მეორეს მხრივ მათ, თითქოს უტოვებს ჩამოშორების სრულ დამოუკიდებლობის უფლებას. ეს პარადოქსი კრემლმა ყოველ მორიგ კონსტიტუციაში გაატარა და უკანასკნელ 1936 წლის კონსტიტუცია მას შემდეგი სახით აყალიბებს:

მე-17 მუხლი იმეორებს და ამტკიცებს დაპყრობილ ერების ჩამოშორების უფლებებს და ხსენებულ დეკლარაციის შინაარს იმეორებს.

მუხ. 21 აღნიშნავს, რომ ფედერაციის თითეულ რესპუბლიკის მოქალაქე არის ქვეშევრდომი არა თავის რესპუბლიკის, არიმედ მთელი საბჭოთა კავშირისა.

მუხ. 133 აღნიშნავს: «საბჭოთა კავშირის მთლიანობის წინააღმდეგ წარმოებული ყოველგვარი მოქმედება დასჯილი იქნება უმაღლეს სასჯელით (სიკვდილით). ე. ი. მუხ. 133 აბათილებს ყველა იმ უფლებებს, რომელსაც ანიჭებს დაპყრობილ ერებს ამავე კონსტიტუციის პირველი ნაწილი. გარდა ამისა საბჭოთა წესით, კანონმდებელი ძალა აქვს არა თვით კონსტიტუციის პარაგრაფებს, არამედ კონსტიტუციის იმ ახსნაგანმარტებას, რომელსაც პარტია წამოაყენებს ყოველ მორიგ შემთხვევაში .. მოსკოვმა ეს ტრადიცია მტკიცეთ შეინახა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ დღემდე...

1918 წელს 3 მარტს საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა ზავის ხელშეკრულებას ცენტრალურ კოალიციის სახელმწიფოებთან ბრესტლიტოვსკის კონფერენციაზე. აქ საბჭოებმა მოისურვეს გამოსვლა მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიის სახელით მაშინ, როდესაც უკვე ფაქტიურად დამოუკიდებელნი იყვნენ და საკუთარი მთავრობები ჰყავდათ: უკრაინას. ამიერ კავკასიის რესპუბლიკას, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკას და სხვებს.

თანახმად მოსკოვის მიერ აღიარებულ ერების უფლებათა დეკლარაციისა და უკვე მიღებულ კონსტიტუციისა. რუსეთს არავითარი პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდა ამ რესპუბლიკათა მიმართ. საბჭოთა რუსეთმა წინაამდეგ აღიარებულ პრინციპებისა, მაინც მიმართა ყველა საშუალებებს, რომ ეს რესპუბლიკები ხელში ჩაეგდო. ჩვენთვის უკვე ცნობილია და აქ აღარ გავიმეორებთ თუ როგორი მუხანათური წესებით მან შეუსია ჯარები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, და ისინი დაიპყრო.

დანარჩენი ნაწილი ისტორიის ვითარებისა, ყველა დაპყრობილ ერმა კარგად იცის საკუთარ ტრაღედიის ეროვნულ ნაკვთიდან. მაგრამ მოვლენის მნიშვნელობა არ იწურება რომელიმე დაპყრობილი ერის ინდივიდუალურ ტრაღედიით, ან დროებით წარმატებით. დღეს ისტორიამ გადაშალა სულ ახალი ფურცელი მსოფლიო ვითარებისა და კაცობრიობა სულ ახალ-ახალ გზაჯვარედინზე დააყენა. დღევანდელი მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობა საჭიროთ ხდის დაპყრობილ ერების განცალკევებულ ბრძოლის საერთო ჯამის შედგენას.

დღეს აუცილებელი საჭიროებაა მთელ კაცობრიობისთვის, რომ ამ მოვლენას შეხედოს და მისი მნიშვნელობა შეაფასოს მისი მსოფლიო საფეხურით და მსოფლიო ზომით.

დაპყრობილი ერების საკითხიდან ლენინმა შეჰქმნა მარტივი, მაგრამ მძლავრი ორკმვეთი იარაღი. ერთის მხრით იგი ჰკვეთავდა და არღვევდა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა საერთო ფრონტს, მეორეს მხრით ანგრევდა დასავლეთის კოლონიალურ იმპერიებს.

ამ იარაღის პოლიტიკური მნიშვნელობა, ატომის იარაღის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, ბევრათ მეტი გამოდგა. ნახევარი საუკუნე ემსახურა იგი რუსეთის ძლიერებას...

... მაგრამ ამ იარაღის ძალა თავისთავათ აღმოჰქრა,— დროთა ვითარებამ იგი შეატრიალა რუსეთის წინააღმდეგ. ეს მოხდა 1956 წელს და ისევ დაპყრობილ ერების საერთო ბრძოლის შედეგში...

ლენინი აქაც მართალი გამოდგა. ეს პროცესი სიმბოლიურად დაიწყო იმ წერტილში, რომლისაც ლენინს ძალიან ეშინოდა. იგი დაიწყო თბილისის ქუჩებში ბრძოლით 1956 წ. 9 მარტს და სრულიად ჩამოყალიბდა ამავე წლის ნოემბერში, როდესაც რუსეთმა ჩინეთის კარნახით ველარ გაბედა ვარშავის სისხლში ჩაღრობა ისე, როგორც ბუდაპეშტისა.

რუსეთი დაემორჩილა ჩინეთის «რჩევა-მოთხოვნილებას» და ბუდაპეშტის «გამეორჯვების» შემდეგ დათმობაზე წავიდა.

1956 წელში ამ ფაქტების მნიშვნელობა ყოველ დღიურ კორიანტელში იფერფლება. დღეს მხოლოდ რვა წელმა გაიარა მის შემდეგ და ამ მოვლენათა მთელი მნიშვნელობა და შედეგები მძლავრ სილუეტით ჩამოიხაზა მსოფლიოში. ვერ ერთი მძლავრი იარაღის არსენალმა ვერ შესცვალა ისე რუსეთის პოზიცია, როგორც ამ მცირე მოვლენებმა.

დღეს უკვე ცხადია, რომ ისტორიის ახალი ფაზა თავის განხორციელებაში შევიდა 1956 წლის მარტ-ნოემბრის განმავლობაში თბილისს-ბუდაპეშტ-ვარშავის გზით.

ერთა განთავისუფლების პროცესი, რომელიც დაიწყო პირველ მსოფლიო ომში, დამახინჯებული იქმნა ძალით და დაგვიანებული ხელოვნურად მიუხედავად ამისა დღეს ამ საკითხს მაინც პირველი ადგილი უკავია კაცობრიობის განვითარების გზაზე. ეს არ არის შემთხვევა.

რამდენი ხანი შეიძლება ამ საკითხის ხელოვნური გართულება და დაგვიანება?... აი ეს ტრადიციული კონვულსიები, რომელსაც განიცდის კაცობრიობა ამ საკითხის დღევანდელ მდგომარეობის გამო, წარმოადგენენ ბატონ ლენინის პირად მიღწევას.

ვანო ნანუაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. დ. მ. ლანგი
და დაძირავებული კრიტიკოსები.

საქართველო აუცილებლად დიდი ისტორიული წარსულის ქვეყანაა, მაგრამ მისი საკაცობრიო ცივილიზაციის მთელი რიგი საკითხები შეუსწავლელია და ბნელით არის მოცული. მართალია, რომ ამ მხრივ ახლო წარსულისა და დღევანდელი საქართველოს ისტორიკოსებმა დიდი შრომა გასწიეს და ნაწილობრივ მაინც გამოიტანეს მზის სინათლეზედ ჩვენი ერის ცხოვრების ზოგიერთი ფრიად საინტერესო მომენტები.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ხშირად იჩენენ ცალმხრივობას, მიკერძოებას, არგუმენტების სისუსტეს და რაც მთავარია ხანდისხან პოლიტიკურ უბადრუკ დამახინჯებებსაც კი, მაინც საინტერესოა რადგან დებულებები წამოაყენეს და მეორე მკვლევარს აღუძრეს სურვილი სიმართლის ძებნისთვის, მაგრამ გამოჩნდენ ისეთი «კრიტიკოსებიც» ღამბაშიძე-მარგიანის სახით რომელსაც ცხოვრების უკუღმართი გზის არჩევით განუსაზღვრავთ, არა შეცდომების ძებნა და მისი სწორ გზაზედ დაყენება არამედ სიმართლის გაცრუება და მისი გაყალბება.

საკითხი ეხება პროფ. დ. მ. ლანგის ინგლისურ ენაზედ გამოშვებულ საქართველოს ისტორიას.

დიდი ხანი არაა, რაც რომ უცხოელი მეცნიერები საქართველოს ისტორიის საკითხით დაინტერესდენ და მათ შორის ერთი საპატიო ადგილი პროფ. დ. მ. ლანგეს უჭირავს მის მიერ გამოცემული საქ. ისტორია ინგლისურ ენაზე ჩვენი ერის წარსულის შესწავლის და მისი პოპულარიზაციის დადებითი მოვლენას წარმოადგენს.

პროფ. დ. მ. ლანგს, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, რაც მას აუცილებლად არაერთი და ორი შეხვდა მუშაობის მიმდინარეობაში, საკმაოდ რთული საკითხები დაუძლევია და საკმაოდ ნათლადაც დაუმუშავებია ბევრი საინტერესო დებულებები ჩვენი ერის პოლიტიკური და სოციალური წარსულისა თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ არასწორ დასკვნების, რომელიც მას ადგილ-ადგილ გაეპარა, მაგრამ ეს აუცილებლად მიზეზია დღევანდელი საქართ. პოლიტიკური მდგომარეობისა და არა პროფ. დ. მ. ლანგის დაუდევრობუსა, რადგან, მას ალბათ არც ისე ადვილათ შეეძლო თბილისის არქივები ისე თავისუფლად ეჩიჩქნა, როგორც ეს ხდება ნორმალურ სახელმწიფოში და ნორმალურ პირობებში. პრ. დ. მ. ლანგი თავის საქ. ისტორიაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს საქ. ისტორიის იმ ბრწყინვალე პერიოდს როდესაც საქ. 117 წლის რუსეთის მონობის შემდეგ თავისი თავი მანვე მიიკუთვნა და საქ. დემ. რესპუბლიკის შენება დაიწყო, რასაც აუღელვებია ბატ. ღამბაშიძე-მარგიანი და ამ ახალი მოდის დაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავებულ კრიტიკოსებს შავის თეთრად გასაღება დაუსახავთ მიზნათ.

ჩვენ ხელთ გვაქვს გაზ. «კომუნისტი» სადაც პროფ. დ. მ. ლანგის საქ. ისტორიის «ვაი კრიტიკას» ერთ გვერდზე მეტი ადგილი აქვს დათმობილი და რომელიც საქ. ისტორიის გაყალბების განსახიერებას წარმოადგენს თავიდან ბოლომდე.

ბატ. ღამბაშიძე-მარგიანი ინგლისის ჯარების დროებითი ოკუპაციას ბათუმის ოლქისა სტრატეგიული მოსაზრებით, დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის ცოდვად თვლიან. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ დამოუკიდებელი საქ. მთავრობის მოთხოვნისთანავე ინგლისმა ჯარი უკან გაიყვანა და ყოველგვარი საოკუპაციო ხარჯებიც პირნათლად გადაიხადა.

იქნებ რუსეთის საოკუპაციო ჯარებიც ღამბაშიძე-მარგიანის მოთხოვნით ხარჯების გადაუხდელად გავიდენ საქართველოდან 45 წლის ცარცვა-გლეჯის შემდეგ, რადგან საქარ. «განთავისუფლება» 45 წლის განმავლობაში წარმოუდგენელია და შესაძლებელია ისინი საქართველოს ქართველებიდან ანთავისუფლებენ.

პროფ. დ. მ. ლანგის «კრიტიკაში» ღამბაშიძე-მარგიანმა საქ. დემ. რესპუბლიკის არჩევნებსაც კი გაჰკრეს კბილი და სახელდახელოდ მოგონილი პროცენტებით არჩევნებზე მონაწილეობის დაბალ პროცენტებს კომუნისტური პარტიის ბოიკოტით ამართლებენ. ცხადია რომ ბატ. ღამბაშიძე-მარგიანს არც საბჭოთა დოკუმენტებიზა გადაუვლიათ თვალი თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ გაუმართლებელ შეცდომას არ ჩაიდენდენ, რადგან საკმარისი იყო მათ გადაეხედათ ფ. მახარაძის 1921 წლის 6 დეკემბრის მოხსენებისათვის სადაც ნათქვამია რომ, «საქართველოში შესვლის დროს მათ იქ არამც თუ ორგანიზაციები, არამედ ერთი უჯრედიც კი არ დახვდათ ფეხზე», მაშ რომელ ბოიკოტზე გველაპარაკება ბატ. ღამბაშიძე-მარგიანი? რა თქმა უნდა ბოლშევიკურად მოგონილზე და ბოლშევიკურად დაუსაბუთებელზე.

ბატ. ღამბაშიძე-მარგიანის ქართულ პატრიოტიზმზე რაიმეს ვერ ვიტყვით, მაგრამ ისე როგორ გაფუჭდენ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავსაც სამართლიანად აცხადებენ და პროფ. დ. მ. ლანგს მიუთითებენ რომ «ის, იყო დიდი ლენინის გენიალური ნიჭის შედეგიო», რადგან თურმე საქართველოს, უკრაინის, ბელორუსეთის და ბალტიის პირა ქვეყნების ტერიტორიის დარიგებით ლენინმა «დიდი ოქტომბრის მონაპოვარი» გადაარჩინა ისე რომ «უფროსი ძმების« მიწის ერთი მტკაველა არ დაკარგულა.

ბატონი ღამბაშიძე-მარგიანი საქ. დ. რესპ. და თურქეთის საზაო შეთანხმებას «სამარცხვინოს» ეძახიან და გამოდის რომ თურმე საქ. სრულ უფლებიან დემოკრატიულ რესპუბლიკას რაიმე მოსაზრებით ზავი რომ დაედო თურქეთთან «სამარცხვინო» ყოფილა. მაგრამ ლენინი თუ თავის ტყავის გადასარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენად საქ. ტერიტორიას სხვებს დაურიგებდა ეს საამაყოცაა და სასიქადულოც, მაშ აქ კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაი იმ სირცხვილს რომელსაც ბოლშევიკური ეტიტეტი აქვს და ვაი იმ ქართველს, რომლიც ბრესტლიკოვის ზავს ამართლებს. ქართველებმა კარგათ იცის სად დაიდო სამარცხვინო ზავი და ვაი იმ დაკნინებას ვისაც ყველაფერი ბოლშევიკური მშობლიური გონია.

ქართველი ადამიანი, რომელიც ბრესტლიტოვსკის ზავს დროებითად აცხადებს საქართველოსთვის ის აგერ 45 წელიწადი გრძელდება და სხვა რომ არ ვთქვათ ზაქათალას ოლქი, ალავერდი და მისი ავან-ჩავანი, მოსკოვური ბრესტლიტოვსკის «უფროსი ძმების» ძმური დახმარების შედეგია, რადგან საქ. დამოუკიდებლობის დროს საქათ. ტერიტორია 96 ათას კვად. კილომეტრს ითვლიდა დღეს კი 70 ათას ძლივსღა აღწევს. გასაგებია რომ 26 ათასი კვადრატიული კილომეტრი საქართველოს ტერიტორიას ბოლშევიკური რეცხვის დროს შეუშვრია და ბატ. ღანბაშიძე-მარგიანს ეს პატარა დეტალი ვერ შეუმჩნევიათ.

საამაყოა ბატ. ღამბაშიძე-მარგიანო თქვენი ბოლშევიკური კრიტიკა, რომელიც აგებულია არა ფაქტებზე, არამედ «უფროსი ძმების» სურვილზე, რადგან 1959 წლის მოსახლეობის ოფიციალურ აღწერაში აზერბაიჯანში არცერთი ქართველი არ არის ნახსენები და ეს იმ დროს, როცა მოსახლეობაში ჩამოთხოული წიგნებით ცდილობთ, რომ ტანჯულმა ზაქათალელმა ძმებმა დედა ენა არ დაივიწყონ და ბოლშევიკების მიერ «განთავისუფლებულ საქართველოს» მარიონეტულ მთავრობას ოფიციალურად კრინტიც ვერ დაუძრავს; აი რას ნიშნავს «უფროსი ძმების» მოტანილი თავისუფლება და აი რას ნიშნავს თქვენებურად დამოუკიდებლობა. ბატ. ღამბაშიძე-მარგიანი ჯამაგირის სანაზღაურად ყველაფერს სწერენ, რადგან ფიქრობენ, რომ ის «უფროსი ძმების» ჯიბიდან არის გაღებული, მაგრამ ვიცით რომ ის საქ. უსაზღვრო ექსპლოატაციის ნარჩენია და თუ ისინი გამოიანგარიშებენ რა გააქვს რუსეთს საქართველოდან დაინახავენ, რომ მათი ჯამაგირის სახით უკან მხოლოდ ნიორთა ნარჩიელი ბრუნდება.

გასაკვირი არაა, რომ ბატ. ღამბაშიძე-მარგიანი ძალიან გესლიანად არიან განწყობილი საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიასთან და მის ხელმძღვანელებთან, რომლებიც შეგნებულად «უფროსი ძმების» კარნახით მას თქვეფავენ რუსულ მენშევიზმში. ცხადია დაქირავებულ «კრიტიკოსებს» საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის მოძრაობაზე სრულებითაც წარმოდგენა არაა აქვთ და ცდილობენ ისტორიის შეგნებულად გაყალბებას.

«მესამე დასი» საქართველოში შეიქნა 90-იან წლებში, რომელიც არც მათი «დიდი ლენინის» ნაანდერძევია და არც ჩერნიშევსკ, დობროლიუბოვ, გერცენის წყალობაა. ის ოფიცია-

ლურად იქნა საპროგრამო დებულებებით ჩამოყალიბებული ყვირილის კონფერენციაზე 1894 წელს და რომელმაც ჩანასახის დღიდან მიიღო ფორმა შეხამებული და შეფარდებული ქართულ ყოფაცხოვრება ზნე-ჩვეულებებთან.

ბრიყვთათვისაც ცნობილია რომ რუსეთში სოც. დემ. მ. პარტია დაარსდა 1898 წელს მინსკის პირველ ყრილობაზე, სადაც ქართველი სოც.-დემ. პარტია მონაწილეობას არ იღებდენ, მაგრამ ქართული სოც.-დემოკრატია როგორც ინტერნაციონალური მიმდინარეობა მეორე ყრილობაზე ესწრება ავტონომიური უფლებებით და ხდება ერთ ერთი მოწინავე რაზმად როგორც საერთოდ სოც. მოძრაობაში ისე რევოლიუციის მომზადებაში, მაგრამ მას საქართველოში და კავკასიაში არასდროს არც არავისთვის დაუთმია და არც არასდროს არ შეუჩერებია, ყოფილიყო ავანგარდი რევოლიუციონური მოძრაობისა. პარტიის გაყოფას საქართველოში ადგილი არ ქონია და მენშევიკ-ბოლშევიკობაც მისთვის უცხო და უნიადაგო იყო.

რათ დასჭირდათ ბატონ ღამბაშიძე-მარგიანს ინგლისელებისათვის ამტკიცონ, რომ საქ. ყოველგვარ შეთქმულებაში და ყოველგვარ აჯანყებებში კლასთა ინტერესების სხვაობა იყო, ეს ჩვენთვის გაუგებარია, რადგან ეს საერთო საკაცობრიო მოვლენაა და თვით ღამბაშიძე-მარგიანის აღთქმულ რუსეთშიც თუ გინდ დღესაც მათ «მონოლითურ» პარტიაშიც ათასი გადახრა-გადმთხრეებით და ანტი პარტიულებით არის სავსე. რა გასაკვირია, რომ საქართველოშიც შეთქმულებებში ან აჯანყებებში სხვადასხვა კლასებს თავთავიანთი ინტერესი ქონოდა? საქმე ისაა, რომ ეროვნულ დამოუკიდებლობის საკითხში ყველანი ერთად იყვენ და ერთად მოქმედებდენ. ცხადია, რომ ბატ. ღამბაშიძე-მარგიანი «უფროსი ძმების» კარნახით ცდილობენ ქართველი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისათვის დაჩქმალონ და აჯანყებებს რაღაც მეორად მიზეზებად ასაღებენ მაგრამ ცხადია ყოველგვარი აჯანყებები ყოველთვის იწყება მეორადი მიზეზებით და მთავრდება ეროვნული ამბოხებით. ისე როგორც 1956 წლის 9 მარტს, სტალინის დაცვის ეტიკეტით «უფროსი ძმების» ტანკებმა ქართველი ახალგაზრდობის გულზე გადაიარეს რუსთაველის პროსპექტზე.

ბატონ ღამბაშიძე-მარგიანს საქართ. კოლექტივიზაციის «მშვიდობიანათ» ჩატარების თეორიაც კი წამოუყენებიხთ, რადგან ჩეკის შიშით ხმას ვერავინ იღებდა და დამპალი გროზნის სიმინდის ჭამით პალეგრის ეპიდემიით იყო შეპყრობილი. მაგრამ 1928—32 წელი საქართველოს ძვირი დაუჯდა და საუკეთესო ჩვენი სოფლის მეურნე გლეხობით ციმბირი იქნა გაჭესებული.

ისინი საქარ. დემ. რუსპუბლიკის მიწის რეფორმასაც კი «აკრიტიკებენ» რადგან საქართველოს მთავრობამ მიწა გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებს დაურიგა და ბოლშევიკებმა კი წაართვეს და მიწის სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადებით, გლეხები სახელმწიფო მონებათ გახადეს.

ბატ. ლამბაშიძე-მარგიანი პროფ. დ. მ. ლანგს მიუთითებენ რომ ის ყოველთვის საბჭოთა დოკუმენტებით არ სარგებლობს, მაგრამ ცხადია თვით ლამბაშიძე-მარგიანიც, რაღაც მოსაზრებით, ძალიანი მჭლეთ სარგებლობენ საბჭოთა დოკუმენტებით, რადგან ან მათ არ აქვთ საშუალება ისარგებლონ ამ ოფიციალური წყაროებით ან გვერდს უვლიან მას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი გასაგებია «კრიტიკის» ასე მოჭორული და შეთხზული მარგალიტებით დამშვენება, როგორც ვთქვით მათ არ უსარგებლიათ ფ. მახარაძით, არ იცნობენ რადეკის განცხადებას ინტერნაციონალის კონგრესზე და არც კარახანის «საქმე საგმიროზე» გაუგონიათ რაიმე. ალბათ ასეთი დოკუმენტების სარგებლობის უფლება იქ ყველას არა აქვს.

1921 წლის 25 თებერვალზე ბატ. ლამბაშიძე-მარგიანი არაფერს ლაპარაკობენ ალბათ იმიტომ რომ «უფროსი ძმების» და «უმცროსი ძმების» «მეგობრობაზე» თვით იმდენი ფაქტები აქვთ, დაწყებული ერეკლე მეფიდან და ეკატერინე მეორიდან. როდესაც ჩვენი მცხოვანი მეფე «უმფროსმა ძმებმა» ვერაგ მტერს მიუგდეს საჯიჯგნელად, მიუხედავად ტრაქტატისა და «უფროს უმცროსობის შეფიცვისა», გათავებული ბატ. ლამბაშიძე-მარგიანის პაპაშა ლენინით, რომელმაც 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მიუხედავად დამპყრობელ ურდოთა არმია გამოგზმვნა და ჯვარს აცვა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და შეიძლება 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში «უფროსი ძმები» არაფერ შუაშია და ის რომელიმე გადახრა-გადმოხრის ან რომელიმე კულტის მიზეზით იქნა მომხდარი და ეხლა როცა რუსეთი «სოციალიზმში» შესკუპდა და ორი ფეხის ნაბიჯზე კომუნიზმს უმიზნებს ყოვლის შემძლე და ყოვლის მცოდნე ბატ. ლამბაშიძე-მარგიანო იფიქრეთ ამ გადახრა-გადმოხრის და კულტ-მულტების შეცდომების გამოსწორებაზე.

1921 წლის 25 თებერვლიდან—დახვრეტილ, გადასახლებულ, ციმბირში დაწყვეტილ ქართველ პატრიოტთა ხსოვნა მაიძულებს «უფროსი ძმების» მოქმედება ზიზღით მოვიხსენიო. ხოლო ბატ. ლამბაშიძე-მარგიანის პატრიოტობაზე ეჭვი ავიღო, რადგან ქართველი კაცი რომელიც კოჯორ ტაბახმელაზე სამშობლოს დაცვისათვის დაღუპულ ქართველ პატრიოტთა მსხვერპლს გაამართლებს, იმას ქართული გული არ უნდა ქონდეს. განა არ ახსოვთ მათ რომ 1924 წლის ეროვნული ამბოხების დროს საბურთალო ქართველ პატრიოტთა სასაკლაოდ გადააქციეს «უფროსმა ძმებმა» განა არ იციან მათ რომ საბურთალოს ქალაქის საძირკვლები ქართველ მამული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილთა ძვლებზე არის აშენებული ან არ გაუგონიათ რომ ციმბირის არცერთი კუთხე არაა ისე რომ ქართველ ტანჯულ გადასახლებულთა უპატრონო ძვლებით არ იყოს დათესილი. იციან მაგრამ შეგნებულად მალავენ, აქედან ვასკვნით, რომ ჩვენში დასაბამიდან უმცროსი ძმა უფროსი ძმის გვარს ატარებდა, ამიტომ წყალიც იქით მიდის და თქვენი გზაც იქითაა ღამბაშავ და მარგიანოვ. კოჯორზე და ტაბახმელაზე დანთხეული სისხლის სმით გასუქებული ქართველი საქართველოს ვერაგ მტერზე უფრო მტერია. თქვენ საქართველოს დამპყრობელების დუდუკზე ცეკვავხართ, ჩვენგან ტაშის დაკვრას ნუ მოელით, საქართველოს თავისი მომავალი აქვს, ნამდვილი ისტორია თავისას იტყვის.

მ. ბერიშვილი.

საგჭოთა მწერლობის— ძველი და ახალი.

... საჭიროებას აღარ წარმოადგენს იმის ახსნა, თუ რა მიზნებს უსახავს საბჭოთა ხელისუფლება მწერლობას, კერძოთ მხატვრულ შემოქმედებას. ამ მხრივ საკმაოდ დაწერილა. საინტერესოა ავხსნათ და განვმარტოთ, რა პირობებში იყო და არის ჩაყენებული, განვითარების რა საფეხურზე, რა მხატვრულ ესთეთიურ სიღარიბისა თუ სიმდიდრის გარემოში მოექცენ, იმყოფებიან ის ლიტერატურული ძალები, რომლებსაც უხდებათ თავის შემოქმედებითი შრომის გაწევა დიქტატურის მიერ შექმნილ-შევიწროებულ პირობებში.

აღვნიშნავთ მოკლეთ,—იმ მიმართვებს, რომელიც მწერლობას მიეცა დაქირავებულ კრიტიკისგან: თემატიკის იდეოლოგიური გადამუშავება, შინაარსის პრიმატობა, რაციონალური მიდგომა ლიტერატურის და ხელოვნებისადმი. ამ დებულებათა ნიადაგზე მოხდა მწერლობის სრული დამორჩილება, მისი საშვალებით პოლიტიკურ-პარტიულ პროპაგანდის წარმოება. იყო პერიოდი სხვადასხვა: ხანა სამხედრო კომუნიზმის, შემდეგ ხანა «ნეპის», მას მოჰყვა სტალინის პიროვნული კულტი, ათეულ წლების მანძილზე თავაშვებული პანეგირიკა,—სტალინის ქება-დიდება პროზაში თუ პოეზიაში, ხანა ომისა...

პარტიული პრინციპების და დოგმების გატარების დროს გამორიცხული უნდა იყვეს პესიმისტური განწყობილების ჩანასახი, არამედ სრული ოპტიმისტური მოტივები, საუკეთესო პერსპექტივები, რადგან გაბედნიერებული ცხოვრება, რომელიც დაამყარა კომუნისტურ პარტიამ,—სრულებით არ იძლევა თურმე ჰესიმისტურ სულისკვეთების ნიშნებს...

იწყება მწერლობის სტალინიზაცია, რასაც მოყვება მწვავე შედეგები—სხვადასხვა ჯგუფების განადგურება და ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიან მონოლიტურ ერთეულში მწერლობის მომწყვდევით ე. წ. «სოციალისტურ რეალიზმის» მეთოდის რელსებზე გადაყვანა...

პირველ ხანებში მოხდა კლასიკოსების გაწბილება გაქირდვა, ხოლო როცა სიყვარული ძველი მწერლობისადმი მძლავრი აღმოჩნდა ხალხში. ოფიციალურმა კრიტიკამ შესცვალა ტაქტიკა და გადმოისროლა ლოზუნგი მიმბაძველობის,—დაპყრობის, ძველი მწერლობის მხატვრული მეთოდების ასათვისებლათ...

«სოციალისტური რეალიზმის» დანიშნულებაა შემოქმედებას შეუნარჩუნოს,—თუ შთაუნერგოს იდეოლოგიური ძირები, რაც პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ პროზაულ თხრობაში წამყვანი როლი ენიჭება კომუნისტს, რომლის პიროვნებას ახასიათებს უნარიანობა, გამჭრიახობა, თავდადება, წარმოების ის დარგი, სადაც ის ხელმძღვანელობს, მიდის წარმატებით, მის ჭკუა-გონებას მიეწერება მრავალი მიღწევები. მის გვერდზე გამოყვანილია ტიპი ჩლუნგი გონებით, უნარს მოკლებული, ან კიდევ ძველი, უსათუოდ «დრო-მოჭმულ ბურჟუაზიის» გადანაშთი, მავნე. ამ დაპირისპირებულ ტიპს შორის გამართულია დიალოგი. ერთში განსახიერებულია ახალი საზოგადოება, აღმავალი ბედნიერების მაძიებელი. მეორეში დახავსებული ნაწილი საზოგადოების, დროიდან განწირული, მოსასპობად გამზადებული.

პროფესიის რომანტიულობა—ანუ შრომის იდეალიზაცია შრომის პროცესის მხატვრულად ასახვა უნდა გაიშალოს მთელი სიმძაფრით და პოეტური შთაგონებით. მწერლის ამოცანა ამ რომანტის გახსნა, მისი ფრთის შესხმა, რაც გამოიწვევს შრომისადმი აღტკინებას, ენერგიის დაჭიმვას, გმირულ თავდადებას. ამან წარმოშვა შრომის გმირები და აქედან კი დანიღმული ექსპლოატაცია შრომის... შრომის პროცესის გადმოცემის დროს მწერლის მოვალეობას შეადგენს მუშის სულიერ სამყაროში ჩაწვდეს—ორი მოპირდაპირის აღმოჩენა,—ერთი უგულო, ზარმაცი, უსაქმური, ეგოისტი,—პირად ბედნიერებაზე მეოცნებე, მეორე კოლექტიური ინტერესებით გამსჭვალული, ახალი საზოგადოების მშენებელი... ეს უკანასკნელი უნდა იყვეს ის ადამიანი, რომლის შექმნისთვის გააფთრებით ბრძოლა სწარმოებს პარტიულ იდეოლოგიურ ხაზით, და რომლის აღმოჩენა და განსაკუთრებული ფსიქოლოგიურ-სულიერი სამკაულით ჯერ არსად სჩანს. ყოველ შემთხვევაში ოფიციალური კრიტიკა, ხელისუფლება ამ ახალი საბჭოთა ადამიანის ძებნაშია. ბოლშევიკური კრიტიკის თვალსაზრისით, რეალურ ცხოვრების გაგება შეუძლია მას, ვინც შეიარაღებულია მოწინავე მსოფლმხედველობით,—ეს მსოფლმხედველობა—ლენინიზმია.—მისით შეუძლია მხოლოთ მწერალს—ახსნას საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესი, გაიგოს, შეიცნოს,—შეუმჩნეველი და შეუცნობი. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტივების ქვეშ ათეულ წლების მანძილზე შექმნილ ლიტერატურა, გარდა ისტორიულ რომანებისა,—თუ ისტორიათ გამოდგება—იმის აღსანიშნავათ თუ როგორი დაკნინება, დაცემა განიცადა მრეწველობის ყველა დარგმა.

ახალი საბჭოთა ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები ცხადია ახალგაზდობიდან მასსიურად უნდა მოდიოდეს .. მაგრამ სწორედ ამ ახალგაზდობაში უმთავრესად ომის შემდეგ გაიზარდა მისწრაფება, პიროვნულ, ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თავგანწირული შრომის გაწევა ციმბირის «ყამირებში»—რომანტიული აღტაცებით მხოლოდ გაზეთის ფურცლებზეა გადაჭრელებული... ახალგაზდობა იქ გადაყრილი «თავის სურვილით» გამგზავრებული—ყოველგვარ საშვალებას მიმართავს თავი დაახწიოს იქაურობას.

... დესტალინიზაციამ, მასსიური ტეროორის შემცირებამ, სტალინის კულტის მხილებამ და მის გარშემო ატეხილ განგაშმა გამოიწვია ერთგვარი მოძრაობა, ჩაფიქრება, მოვლენების მიმართ კრიტიკული მიდგომა, რამოდენიმედ შეიქნა პირობები «სოციალისტური რეალიზმის» გვერდის ასახვევად... გამოჩნდა პირველი მერცხალი დუდინცევის სახით, რომელმაც თავის რომანში: «არა ერთი პურითა»,—ბზის სინათლეზე გამოიტანა ის სოციალური დაყოფა, რაც თანდათანობით წარმოიშვა საზოგადოებაში. გადაიშალა სურათი: სიღარიბე, შევიწროება, დამცირება—ერთის მხრივ. ფუფუნება, სიმდიდრე განცხრომილი ცხოვრება ბობოლა მოხელეთა, მცირე ჯგუფთა...

ეროვნული ერთეულებიც ვერ აცდებოდნენ ცენტრის პოლიტიკურ დირექტივებს..... საქართველოს დაპყრობით—გამოწვეული ტრაღედია მწვავეთ განიცადა მწერალთა იმ პლეადამ, რომელიც აღზრდილი იყო თავისუფლების შემოქმედების გაშლისა და განვითარების ნიადაგზე. იგი მოემწყვდა პარტიულ თეორიების და დოგმების რკალში.

ესაა პერიოდი ჩვენს მწერლობაში, სხვადასხვა ჯგუფების გაქრობის, ახალი წარმოშობის, წლეები შებრძოლების, როცა სიტყვის ოსტატური მოქნილობით, მხატვრული ვირტუოზობით ცდილობს შებორკილი კალამით—ამხილოს ქართველი ხალხის გულში ჩამარხული ნაღველი, დაიტიროს გუშინდელი დაკარგული თავისუფლება, და ამ თავისუფლების აღდგენის სურვილი სინათლეზე გამოიტანოს. ამით ის ეპირისპირება ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს მოსკოვისგან შემოტანილ წესების დანერგვას,—ახალ ეკონომიურ სისტემის მოწყობას და დამაგრებას. ეს შებრძოლება აღსავსეა მძიმე დრამატიული მოვლენებით... საოკუპაციო ხელისუფლება რჩება განმარტოებული, ვერ ნახულობს მწერლობის სახით იმ მოკავშირეს, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მისთვის საზოგადოებრივი აზრის დასაპყრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბად... მისი დასაყდნობი ხდება მცირე ჯგუფი, ე. წ. «პროლეტარულ მწერლობად წოდებული. ამ უკანასკნელს არ გააჩნია ძალა წამყვანი, ხელისუფლება ფიქრობს მის გაზრდას და გამაგრებას, მის იდეურ-მოძრავ ძალად გადაქცევას—ბილ.ი.ი. საბჭოთა სამწერლო ასპარეზის დაპყრობას. ყველა დანარჩენი ძალები ინათლება დეკადანტურ-სიმბოლისტურ მიმართულებათ და ზოგიერთები კიდევ ხალხის მტრებათ. ეს ეტაპი—სტრატეგიული შეგუების, სამწერლო ასპარეზიდან მრავალთა გასვლის, კალმის ხელიდან გაგდების,—ან კიდევ იძულებითი მოქცევის ხანაა... იგი შევა ისტორიაში ვითარცა სრული შემოტევა—თავისუფალ შემოქმედების აღმოფხვრის უდიდესი ცდა, რაც მიღწეულ იქნა მრავალთა ჩაჩუმებით, ზოგიერთა ფიზიკური მოსპობით, გავიხსენოთ ჩვენი სახახელო რომანისტის მიხეილ ჯავახიშვილის და ცნობილ პოეტთა დაღუპვა.

გულშემზარავი ხოტბა—ტირანისა, ხოლო სტალინის ხატის წინ პირჯვარის გადაწერის შემდეგ,—მწარე თქმებში მოისმის კვნესა მშობლიური ქვეყნის ტკივილებისგან გამოწვეული. მეორეს მხრივ მოხდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ქართულ მწერლობაში. საქართველოს ისტორიული წარსულის იდეალიზაციის მოხდენით.—გაცოცხლებულ იქნა შორეულ წარსულის ადათ-ჩვეულებანი, ბრწყინვალე გმირული ბრძოლები აისახა მხატვრულ ფორმებში, დიდ ტილოზე გადმოიშალა—ჩვენი ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიციები...

დესტალინიზაციის შემდეგ ყველა განაპირა ქვეყნების ნაციონალურ მწერლობაში—იფეთქა თავისუფალ შემოქმედების ტალღამ, რაც ისე არ უნდა იქნას გაგებული თითქოს მწერლობას მიეცა საშუალება შეასრულოს თავისი მისია ამხილოს ჩაგვრა სოციალურ-ეროვნული. სრულებითაც არა. ამას დიქტატურა აბა როგორ მოითმენდა. ახალგაზრდობამ ხელი მიჰყო თავისუფალ თემათა დამუშავებას. სიტყვის უაღრესი პათეთიურობით ხდება შექება—მეგობრობის, სიყვარულის, ბუნების, მზისა და მთვარის... საქართველოს კუთხეებზე მშობლიურ გრძნობებზე... ამით მწერალი თანდათანობით შორდება პარტიულ კარნახის ქვეშ წერას... ბევრ სიტყვა კაზმულ ნიმუშებში საიდუმლოებაა, ყრუ სუნთქვა და ამ სუნთქვაში თითქოს იგრძნობა რაღაც საიდუმლოება გაუმხელ ტკივილებით დატვირთული.

საქართველოში გამოჩნდა პროზაული ნაწარმოები, დუდინცევის ხასიათისა,—სადაც მხილებულ იქნა საზოგადოების სხეულზე გაბატონებულ მოხელეთა თარეში... ამა თუ იმ პროზაულ ნაწარმოებში ნათლად გამოჩნდა რეალობა საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრების, მისი წყობის და უმთავრესად სოციალურ დაყოფის—ახალ განებივრებულ კლასის წარმოშობის...

ოფიციალურ კრიტიკას არ გამოჰპარვია ზოგიერთი გაბედული გამოსვლა... რამაც გამოიწვია ხრუშჩოვის ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПГ27/41

გამოსვლა—სპეციალური ინტელექტუალური ძალების ფართე თათბირზე—მოსკოვში.

დესტალინიზაციისგან შექმნილი პირობები—თანდათან იცვლება; იწყება უკან დახევა. პიროვნების კულტს სცვლის —კულტი პარტიის. პარტიულობა—თანდათან უბრუნდება მხატვრულ ლიტერატურას.

ამაზე შემდეგ.

ა. ბადრიძე.

ხმა ულიარხი.

«სამ. ხმის» უკანასკნელ ნომრის ფურცელზე საქართველოს ს. ს. რ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ძოწონიძეს აღმოუჩენია, რომ ერის ცხოვრებაში არის თარიღი ტრაღიკული მოვლენით სავსე, რომელიც გვახსენებს ჩვენს ქვეყანას დანგრეულს და გაპარტახებულს, ბრძოლებს დამპყრობელთა წინააღმდეგ, არის თარიღი კი, რომლის მოგონება აღავსებს გულს სითბოთი, სიხარულით და სიამაყით. ასეთ სასიხარულო თარიღს შორის არის 1921 წლის 25 თებერვალი. დღე რომელმაც თითქოს—საქართველოს მოუტანა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერება—თურმე.

დიახ, ასე სწერია შავით თეთრზე. ჩვენ მეტს არ მოველოდით იმათაგან, რომლებიც რუსის ხიშტით წამოსკუპებულან საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებაში და 24 საათში დამაგრდებიან, რომ საშუალება იყვეს ხალხის სურვილის გაგების. განა სწორეთ 1921 წ. 25 თებერვალს არ დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა საქართველო? განა ამ თარიღში არ იყო რომ ჩვენი დედა-ქალაქი შავი ძაძებით შეიმოსა? განა ამ თვეში არ იყო რომ ახალგაზრდების სისხლი დაიღვარა კოჯორ-ტაბახმელაზე?...

ნუთუ ადამიანს, ბატონების სამსახურში ისე უნდა დაებნეს გონება, რომ ოდნავ მაინც პატივი არ სცენ ქართულ სისხლს. ნუთუ შეიძლება უცხო ძალისაგან დაპყრობა—ეროვნულ თავისუფლებათ და დღესასწაულათ გამოაცხადო?

სად არის საქართველოს დამოუკიდებლობა როცა ქართველი ერი გამორიცხულია ერთა ოჯახიდან? განა ცინიზმსაც არ უნდა ჰქონდეს ერთგვარი საზღვარი? რამდენიც არ უნდა იცრუონ ბ-ნ ძოწონიძეებმა საქართველოს ტრაღიკულ თარიღს, 1921 წლის 25 თებერვალს, ბედნიერ თარიღათ ვერ გაასაღებს, შავს თეთრათ ვერავის მოაჩვენებს, ქართველი ერის დაბრიყვება არც ისე ადვილია, როგორც ძოწონიძეს წარმოუდგენია.

რაც შეეხება იმ აღმშენებლობას, რომელსაც ის ჩამოთვლის და 1913 წლის სტატისტიკით გამოჰყავს ეროვნული ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრების შესაძლებლობა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წლის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, ცხოვრებამაც წინ წაიწია—საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების ხანაში იგი უსათუოთ მეტს მიაღწევდა, თუმცა ასეთნაირი მიდგომაც მცდარია, რადგან საქართველოს ეკონომიკა იგეგმება მოსკოვიდან. საიმპერიო საჭიროების მიხედვით და საექსპორტოთ და არა ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის...

უსათუოთ იხსნება სკოლები და ხალხიც სწავლას ეწაფება მერე? განა ეს თქვენი დამსახურებაა? საოკუპაციო ძალაუფლების წყალობაა? არა იგია მაჩვენებელი ქართველი ერის პოლიტიკური და კულტურული სიმწიფის—რომელსაც წინ ელობება ბ-ნო ძოწონიძე თქვენი მფარველი მოსკოვის რუსიფიკატორული პოლიტიკა.

ბაბველი.

ვერა (ბოკა) წულაძე

მძიმე ავადმყოფობის გამო,—პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში გასული წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა ქალბატონი ვერა (ბოკა) წულაძისა. დაკრძალულ იქნა სოფელ ლევილის ძმათა სასაფლაოზე მრავალრიცხოვან ქართულ საზოგადოების თანადასწრებით.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ბაგრატ წულაძეს ერთგულ და მუდმივ თანამგზავრის და მის შვილებს ძვირფასი დედის დაკარგვის გამო.

ეთერი თაყაიშვილი.

სიცოცხლით სავსეს თუთხმეტი წლის უკან აღმოაჩნდა განუკურნებელი სენი. შვილისადმი თბილი სიყვარულით უაღრესად აღვსილმა მშობლებმა მრავალ სხვადასხვა საექიმო საშვალებებს მიმართეს. განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდნენ და მოვლას არ აკლებდნენ. სიკვდილმა თავისი გაიტანა, უმანკოებითა და სიწმინდით სავსე სული წვალებაში დაილია, უსაზღვროდ დაამწუხრა მშობლების გული და ქართული საზოგადოება, რომელმაც,—მრავალ-რიცხოვანმა და თვალცრემლიანმა ლევილის ძმათა სასაფლაომდე მიაცილა, თეთრყვავილებით შემკული ცხედარი ამაწლის 7 მაისს.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს ბ-ნ ილიას, ქ-ნ თამარს, მათ შვილებს და მთელ ოჯახის წევრებს ძვირფასის ეთერის უდროოდ დაკარგვის გამო.

მიხაკო წერეთლის სიკვდილმა ძლიერ დამაღონა. ვწუხვარ დიდი პატრიოტისა და მწერალის დაგარგვას.

ანტონ ყორყოლიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 10 აპრილს პარიზში გარდაიცვალა ყოფილი იუნკერი ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი.

დასაფლავება მოხდა მრავალი ხალხის თანადასწრებით 16 აპრილს, ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

«კავკასიონი»

გამოვიდა «კავკასიონის» მე 10 ნომერი, რომელიც მიძღვნილია 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისადმი.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ყველა მასალები—მოგონებები და ლექსები.

ადგილი დათმობილი აქვს აგრეთვე ნიმუშებს პოეზიიდან და პროზიდან.

ვ. ნოზაძის მოხსენება.

მწერალთა და ჟურნ. კავშირის გამგეობამ მოაწყო 9 მაისს ქართულ საზოგადოების წინაშე ბ-ნ ვიქ. ნოზაძის მოხსენება შემდეგ თემაზე: «რუსთაველისა და დანტეს მსოფლგაგება».

მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადო კრება.

ამაწლის 11 აპრილს შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადო კრება.

არჩეულ იქნა ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით:

გ. ყიფიანი—თავმჯდომარე, მ. გრიგოლია—მდივანი, გ. წერეთელი—მოლარე. წევრები—გ. ნოზაძე და მ. ქავთარაძე.

მადლობის გამოცხადება.

თამარ და ილია თაყაიშვილები, შვილებით უღრმეს მადლობას უძღვნიან იმ პატივცემულ მეგობრებს, რომლებმაც თავიანთი პირადი დასწრებით, წერილებით თუ დეპეშებით გაიზიარეს მათი უღრმესი მწუხარება საყვარელი შვილის და დის ეთერის უდროოთ დაკარგვის გამო.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ყველა ორგანიზაციები

1965 წლის 27 ივნისს 15 საათზე პარიზში მართავს

კარლო ჩხეიძის

დაბადებიდან ასი წლის თავი. აღსანიშნავ დღეს.

44 rue de Rennes. Paris VI.

«ჩვენი დროშის» გამოწერა შეიძლება შემდეგ მისამართზე

M-r Berichvili

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

(S. et O.) France.

Imprimerie Coopérative Arpajonaise. Arpajon.